

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №8 აგვისტო 2014 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა (მარიამობა)

ერთხელ, გოლგოთას მთაზე, ღვთისმშობელს, მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და აუწყა, რომ სამი დღის შემდეგ მისი ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდებოდა. ღვთისმშობელი დაბრუნდა ბეთლემს, სადაც ღვთის განგებით, ყველა მოციქული შეიკრიბა, თომას გარდა.

ღვთისმშობლის მიძინების ჟამიც დადგა. მოციქულები გალობით შემოერტყნენ ღვთისმშობელი მარიამის სარეცელს. უეცრად ოთახი უჩვეულო ნათელმა გააბრწყინა. გამოჩნდა იესო ქრისტე ანგელოზებთან ერთად. გახარებული ღვთისმშობელი მარიამი წამოდგა და შეეგება შვილსა და დმერთს, რომელსაც ყოველგვარი ტანჯვის გარეშე ჩააბარა თავისი სული.

მოციქულებმა დაიტირეს ღვთისმშობელი და მხრებით შეუდგნენ მის წმიდა ცხედარს. ღვთისმშობელი მარიამი დაკრძალეს გეთსემანიის ბაღში, გამოქვაბულში, სადაც მისი მშობლები განისვენებდნენ. სამი დღის შემდეგ თომაც მოვიდა და ატირებული დაეცა საფლავის კართან. მასაც სურდა თაყვანი ეცა ღვთისმშობლის ცხედრისათვის. მოციქულებმა გახსნეს სამარხი, მაგრამ შიგ მხოლოდ სუდარა იპოვეს. იმავე საღამოს კი ღვთისმშობელი თავად გამოეცხადა მოციქულებს და უთხრა: „გიხაროდენ, რამეთუ თქუენთანა ვარ ყოველთა შინა დღეთა“.

ფერისცვალება

უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოირჩია პეტრე, იაკობი და იოანე და მათთან ერთად თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად. სანამ მაცხოვარი ლოცულობდა, დაღლილ მოწაფეებს ჩაეძინათ. გაღვიძებისას ნახეს, რომ იესო ქრისტემ ფერი იცვალა: „და იცუალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ ვითარცა ნათელი“ (მათე XVII, 2). ამ დროს მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი იდგნენ, რომლებიც მაცხოვართან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რაც მას იერუსალიმში მოელოდა. ამის მნახველი მოწაფეები გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა და პეტრემ წამოიძახა: „მოძღუარ კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა. და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსასა და ერთი ელიასა“ (ლუკა IX, 33). ამ სიტყვების თქმის შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგრა მათ, ხოლო ღრუბლიდან მოისმა ხმა ღვთისა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ“ (მათე XVII, 5). შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხვნენ, მასთთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: „აღდეგით და ნუ გეშინინ“ (მათე XVII, 7). როცა მათ მიმოიხედეს, მოსე და ელია აღარსად იყვნენ.

2 აგვისტო — ხსენება ელია წინასწარმეტყველისა



წმ. ელია წინასწარმეტყველი წარმართი მეფის აქაბის დროს ცხოვრობდა. იგი თაყვანს სცემდა კერპს – ზნის ღვთაებას და თავის სამეფოს მცხოვრებლებსაც ამისკენ მოუწოდებდა, მაგრამ უფალმა ელია აქაბთან წარგზავნა და უბრძანა ჭეშმარიტი ღმერთი ეწამა.

ელია მივიდა მეფე აქაბთან და ღვთის სახელით განუცხადა: „შენი უსჯულოებისათვის უახლოეს წლებში არ იქნება არც წვიმა და არც ცვარი“. და მართლაც, ისეთი საშინელი გვალვა დაიწყო, რომ ბალახიც კი გახმა. დაიწყო შიმშილი. გვალვა სამეფოში სამწელიწადნახევარს გაგრძელდა. ამის შემდეგ ელია წინასწარმეტყველი კვლავ მივიდა მეფე აქაბთან და ურჩია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულიყო.

ელია წინასწარმეტყველი მთაზე ავიდა და ილოცა, რათა უფალს წვიმა მოევლინა. ელიას ლოცვით ძლიერი წვიმა წამოვიდა და გადამხმარი არემარე გამოაცოცხლა. მას შემდეგ გლეხები წვიმის მოსვლას ელია წინასწარმეტყველს ევედრებიან, ეს დღესაც ასეა.

ელია წინასწარმეტყველის ხალენი საქართველოში ინახება. იგი დაფლულია სვეტიცხოვლის დიდ საკათედრო ტაძარში. აქვეა ელია წინასწარმეტყველის სახელობის წყარო, რომელსაც კურნების ძალა აქვს.

წმიდა ეკლესიის გადმოცემის მიხედვით, ელია წინასწარმეტყველი იქნება იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის უშუალო წინამორბედი და ჭეშმარიტების ქადაგებისას მიემთხვევა იგი ხორციელ აღსასრულს.

2 აგვისტო — ხსენება წმიდა ილია მართლისა (ჭავჭავაძე)



1987 წლის 2 აგვისტო საქართველოს ისტორიაში დაუვიწყარ დღედ დარჩება. დაბადებიდან 150 წლის თავზე ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ილია ჭავჭავაძე. პერგამენტზე დაწერილი წმიდა სინოდის განჩინება გვაუწყებდა: „ერისა და ეკლესიისათვის გაწეული ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე აღიარებულ იქნას წმიდანად და ეწოდოს ილია მართალი“. წმ. ილიამ თავისი სულიერი ენერგიით შეაჩერა ქართველი ერის დაღმასვლა. მას ძალუძდა ეთქვა და აღესრულებინა.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

2 აგვისტო — უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ანგელოზის დღე

ხევის სტუმარი
პაატა ბურჭულაძე

11 აგვისტოს ოპერის გამოჩენილი მომღერალი, მსოფლიოში სახელგანთქმული ბანი, უდიდესი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი პაატა ბურჭულაძე ხევს სტუმრად ეწვია.

დიდ მომღერალსა და ქველმოქმედს მოხევეები წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში შეხვდნენ.

ბატონმა პაატამ ვრცლად ილაპარაკა მახათას მთაზე ივერიის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ეკლესიის აშენების მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ ყველა ქართველის ვალია თავისი წვლილი შეიტანოს ამ საშვილიშვილო საქმეში. ღვთისმშობელი გადაარჩენს და კვლავ გაბრწყინდება საქართველო.

უდიდესია ბატონი პაატას საქველმოქმედო საქმეები. „ერთად გადავარჩინოთ მომავალი“ — მსოფლიოში აღიარებულმა მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ 2004 წელს ასეთი მოწოდებით დააარსა საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“. დაარსების პირველივე დღიდან „იავნანა“ ობოლი, მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის საიმედო თავშესაფრად იქცა. ფონდის ეგიდით არაერთი საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. პაატა ბურჭულაძის წინადადებას საქველმოქმედო გალა-კონცერტში მონაწილეობის შესახებ მსოფლიო საოპერო ვარსკვლავები პირველივე შეთავაზებისთანავე თანხმდებიან. მიღებული შემოსავალი სრულად ხმარდება მზრუნველობამოკლებულ პატარებს.

2006 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ პაატა ბურჭულაძეს, გაწეული ქველმოქმედებისათვის გაეროს კეთილი ნების ელჩის წოდება მიანიჭა.

2010 წლის 3 დეკემბერს კი მას მიენიჭა გაეროს ბავშვთა ფონდის კეთილი ნების ელჩის წოდება.

გაეროს ბავშვთა ფონდმა (იუნისეფი) ოპერის გამოჩენილ მომღერალსა და მსოფლიოში სახელგანთქმულ ბანს საქართველოში იუნისეფის პირველი კეთილი ნების წოდების მინიჭებით პაატა ბურჭულაძე შეუერთდა იუნისეფის რიგებს, და ახლა უკვე ერთობლივი ძალით გახდა შესაძლებელი აქტიური მოღვაწეობა ბავშვთა უფლებების დასაცავად.

ბატონი პაატა მოხევეებსაც შეჰპირდა დახმარებას, მაგრამ დახმარების ობიექტი აუცილებლად მრავალშვილიანი ოჯახი იქნება.

დასასრულს ბატონ პაატას სტუმრობისათვის მადლობა გადაუხადა ყაზბეგის რაიონის დეპუტატმა მირიან წიკლაურმა და აღნიშნა, რომ ჩვენს სტუმარს ორი-სამი წლით წინასწარ აქვს გათვლილი თავისი დრო, მაგრამ მან მაინც მოახერხა მოხევეების მონახულება.

ალისა და ბარბარე

ერთხელ ერთი გლეხი კაცი მიდიოდა მეფესთან და გზაზე დაინახა მტირალი გოგონა. კაცმა ჰკითხა, რა მოგივიდაო? გოგონამ უთხრა ჩემი მშობლები დავკარგე და ვეღარ ვპოულობო. კაცს შეეცოდა გოგონა და უთხრა: ჩემთან წამოდი სახლში მე და ჩემი ცოლი შვილივით გაგზრდითო. გოგონას გაუხარდა. კაცმა თქვა, ჩემ ცოლს გავახარებო, რადგან შვილი არ ჰყავდათ. რა გქვია? შეეკითხა კაცი. ალისა, — უპასუხა გოგონამ. ეგ ხომ ჩემი ცოლის საყვარელი სახელია.

გოგონას ხელი მოკიდა და სახლში წაიყვანა. როცა სახლში შეეიდნენ, გოგონა ქალს მოეხვია. ქალმაც გულში ჩაიკრა პატარა ალისა. გავიდა დრო. გოგონა ბედნიერად იზრდებოდა. ერთხელაც გამზრდელებმა გოგონა სტუმრად წაიყვანეს მეფესთან. მასაც ერთი პატარა გოგონა ჰყავდა სახელად ბარბარე. მათ ერთმანეთი ძალიან მოეწონათ და დამეგობრდნენ. ერთად დებივით იზრდებოდნენ.

გავიდა დრო, გოგონას გამზრდელები სენით დაავადნენ. გოგონამ ყველა ექიმი მოიარა. ბოლოს ერთი ქალი ნახა, რომელიც ბალახებისგან წამლებს აშზადებდა. გოგონასაც წამალი დაუმზადა. გოგონამ ამ წამლით თავისი გამზრდელები მოარჩინა.

ანდაზა: მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდება.

მარიამ ბაკურიძე, 11 წლის.

სექტემბრის თვის საეკლესიო კალენდარი

10 — ხს. წმ. მოწამე შუშანიკისა (#475)

11 — თავისკვეთა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა

14 — ეკლესიური ახალი წელიწადი, ქვეყნიერების დასაბამიდან 7618 წ. (5604+2014).

19 — ხსენება საკვირველებისა მთავარანგელოზ მიქაელის მიერ კოლასეს შინა (ხონა) ქმნილისა.

21 — შობა ყოვლდაწმიდა ღვთისმშობელისა.

22 — წმ. და მართალთა მშობელთა ღვთისმშობლისა იოაკიმ და ანასი.

26 — ხს. დიდმოწამისა საქართველოს მნათობისა, კახეთის დედოფლისა ქეთევანისა (1624).

27 — ჯვართამაღლება.

28 — ღირსი ამბა იოსებ ალავერდელისა (570).

30 — ხს. მოწ. სოფიოსი და მისი სამი ასულისა პისტისა, ელპიდისა და აღაპისა.

სტუმრად წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიამ წელს მეორედ უმასპინძლა საქველმოქმედო ფონდის „ქვიშის საათის“ აღსაზრდელებსა და სოციალურად დაუცველ შ.შ.მ. პირებს. შევხვდით ფონდის დამფუძნებელ მარიკა შენგელიას, რომელმაც გვიამბო, რომ საქველმოქმედო ფონდი „ქვიშის საათი“ დაარსდა 2013 წლის 12 თებერვალს, დარიალის მამათა მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი იოსებ თავაძის ლოცვა-კურთხევით. ფონდი დღესდღეობით ეხმარება 150-მდე სოციალურად დაუცველ ოჯახსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ფონდს ასევე ხშირად დაჰყავს ბავშვები მოსალოცად ექსკურსიებზე, გასართობ ცენტრებში, ცირკში, კინოთეატრებსა და თეატრებში. ჩვენი მიზანია შევუმსუბუქოთ და გავუხალისოთ ცხოვრება ადამიანებს.

ხევისა და სტეფანწმინდის მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი წელს უკვე მეორედ მასპინძლობს სოც. დაუცველ შ.შ.მ. პირებს. ფონდი 30 ბავშვთან ერთად იმყოფება სასულიერო გიმნაზიაში, მეუფის მოპატიჟებით ერთი კვირით. ბავშვები დიდ სითბოსა და სიყვარულს იღებენ ეპარქიის სასულიერო პირებისაგან. მათ მოილოცეს ეპარქიის ყველა ეკლესია-მონასტერი და მოინახულეს ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი. ბავშვთა ტრანსპორტირება უზრუნველყო არქიმანდრიტმა იოსებმა და მდედელ-მონაზონმა ილარიონმა. მათი მხრიდან ბავშვებს გადაეცათ უამრავი საჩუქარი და სამახსოვრო ნივთი. ქველმოქმედებაში ჩართულია სრულიად ეპარქია და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხევისა და სტეფანწინდის ეპარქია არის გამორჩეული, რჩეული ეპისკოპოსით და ბერ-მონაზვნებით. ჩვენი ფონდის სახელით დიდ მადლობას ვუხდით მათ დაუვიწყარი დღეებისათვის.

საქველმოქმედო ფონდი „ქვიშის საათის“
დამფუძნებელი მარიკა-მარიამ შენგელია

ხევის ფლორა საშიშროების წინაშე დგას

რამდენიმე წელია ჩემ მშობლებთან და და-ძმასთან ერთად ვცხოვრობ ყაზბეგის რაიონში, ფაქტიურად აქ გავიზარდე. ვსწავლობ წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში. აქ სწავლა და განათლების მიღება მნიშვნელოვანია მოზარდის სულიერი ჩამოყალიბების საქმეში. მე ძალიან მიყვარს ხევი და მისი ბუნება. მომწონს, რომ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აქ დაცულია ძველი ტრადიციები, განსაკუთრებით უფროს-უმცროსობის მიმართებაში. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების გმირების ვაჟკაცური სულისკვეთება დღესაც პოულობს თავის გამოხმაურებას თანამედროვე ცხოვრებაში.

თავს უკვე ხევის მკვიდრად ვთვლი და განსაკუთრებით მაინტერესებს ხევის ფლორა და ფაუნა. ვცხოვრობ ილია მართლის სახელობის უნივერსიტეტის შენობაში, სადაც რამდენიმე ათეული წლის წინ უკვე ქართველ მეცნიერთა მიერ დაიწყო ხევის ფლორისა და მცენარეულობის სისტემატური შესწავლა. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ბოტანიკოსი ანა ხარაძე. 1969 წ. ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო კეცხოველის თაოსნობით დაბა ყაზბეგში დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის სტაციონარი. ამჟამად მისი ფუნქცია ხევის ფლორის მრავალფეროვნებისა და სათიბ-საძოვრების ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლაა.

წლების განმავლობაში მეცნიერების: ოთარ აბდალაძის, მარინე ჭიბოშვილის, თამაზ გამყრელიძის, კოტე ჯანდიერისა და სხვათა დიდი ძალისხმევით ჩატარებულმა კვლევებმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. უცხოელი კოლეგების მონაწილეობით მრავალი კონფერენცია და სიმპოზიუმი ჩატარდა. ყაზბეგის ეკოლოგიური საღგური საერთაშორისო დონეზე დამკვიდრდა და ერთ-ერთ აღიარებულ ცენტრად იქცა. დღესაც კი მსოფლიოში სულ რამდენიმე ასეთი ინსტიტუტია (ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთსა და აშშ-ში),სადაც კვლევები მრავალი ათეული წლის მანძილზე ტარდება და სწორედ ამიტომაა განსაკუთრებით ფასეული.

ვიცი, რომ რამდენიმე წლის წინ პროფესორ ოთარ აბდალაძისა და მარინე ჭიბოშვილის ხელმძღვანელობით ყაზბეგის სკოლის მოსწავლეები რამდენიმე თვის განმავლობაში გაერთიანებულნი იყვნენ ეკო-ცენტრის კვლევებში. მათ ასწავლიდნენ როგორ დაეცვათ ხევის ბუნება, როგორ აღედგინათ ეროზირებული ადგილები და როგორ გაფრთხილებოდნენ ხევის ფლორას. კარგი იქნებოდა ამ ტიპის სწავლება ახლაც ტარდებოდეს ახალგაზრდებთან.

„სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტთან“ ჩემი ახლო ურთიერთობის შედეგია ის, რომ ვიცი როგორ იზრდება ეროზიის მასშტაბები, ამის ნიადაგზე მცირდება სუფთა მტკნარი წყლის მარაგი. მატულობს ეკომიგრაცია, ღარიბდება ბიო მრავალფეროვნება. გადაშენება ემუქრება მცენარეთა და ცხოველთა მრავალ იშვიათ ენდემურ სახეობებს. დეგრადირდება და ღარიბდება ბუნებრივი სათიბ-საძოვრები, სახეს იცვლის და კნინდება მთის უნიკალური ლანდშაფტების ესთეტიკური ღირებულება. ეს სწორედ ის საკითხებია, რაც ამჟამად მუშავდება და მომავალშიც შეისწავლება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, „სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტში“. უკანასკნელ ხანს არაერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი კატასტროფა მოხდა ყაზბეგის რეგიონში. 2014 წ. დევდორაკის მეწყერის ტრაგიკული შედეგები საყოველთაოდ ცნობილია. შედარებით ნაკლებად ცნობილია ჯერის უღელტეხილთან მდებარე ტრავერტინის დაზიანების შესახებ, ხოლო ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია გუდაურის მიმდებარედ მცენარის ორი იშვიათი სახეობის პოპულაციის ნაწილბორივი (ერთის) და სრული (მეორის) განადგურების ფაქტი. ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გარემოს დაცვითი განათლების დონის გაზრდა, როგორც უფროსი ასაკის ადამიანებში, ასევე ახალგაზრდებთან.

დავით თოფურია
წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის
X კლასის მოსწავლე

დედა

დედა ყვავილია,
დედის ალერსი თბილია,
ვარდი გაშლილია,
დედა განძი ფარულია!
დედა სიყვარულია,
დედა სითბო და ალერსია,
დედა დამრიგებელია,
დედა ცხოვრების არსია,
მე მიყვარს დედა!

ლალი ბურდული, II კლასი

დაცლილი ხევი ამტკივდა

დაცლილი ხევი ამტკივდა
დახარჯულ სოფლებს ვადნები
ხეობებს დაუყვები და
შამამტირიან სახლები.
სული შფოთობს და ცრემლებით
მევსება ბავშვის თვალები
რაი ვქნა, როგორ გავბევრდე?
ყველგან რომ გავხსნა კარები...
დავსტირი, ბევრსაც ვბობოქრობ
ხევია ეხლა მახეში,
ჩამაიყრება თოვლი და
მეც ქალაქს გადვიკარგები.
იქით მოვსძახი ზარივით
მიყორხარ! — სულ მედარდები.
ჩემ შინ კი შუქ არ ანთია
სადაც ბავშვობას ვათევდი.
დაცლილი ხევი ამტკივდა
ქალაქით გულზე ვაჭკნები,
გავრბივართ, მემრე მოვსძახით
ცხოგავე ცხონი ვთავდებით.
ხევი გოქ მოსეს კიდობნად
ჩვენ კი დავუშვით აფრები,
შორით კი არ უნდ მისტირა
არ აიშალა დარდები,
იქ უნდა იცხოვრა ამაყმა
მთაწი ახარა ვარდები,
არ სთოლა თოლთან ნაოჭი
მიწისთვ არ სთოლა ხარჯები,
ცოცხალმა იქ უნდ იცხოვრა
ამაყი მაშინ მოჰკვდები!

ახალგაზრდა მოხევე პოეტი
თამარ ქუქიშვილი

ყაზბეგის ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი

არქიტექტურული ისტორიული მონუმენტური ხელოვნების ძეგლი მდებარეობს დაბის ცენტრალურ ნაწილში. კომპლექსში შედის: ეკლესია, სამრეკლო, ალექსანდრე ყაზბეგის, მისი მშობლების, პაპის და გაბრიელ ყაზბეგის საფლავთა ძეგლები, ალ. ყაზბეგის სახლმუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გიორგი და ნიკოლოზ ყაზბეგების სახლები.

ღვთისმშობლის ეკლესია დგას ყაზბეგების საგვარეულო სასაფლაოზე. დასავლეთის ფასადის წარწერის მიხედვით აგებულია 1809-14 წწ. გაბრიელ ყაზბეგის მიერ. ეკლესია დარბაზულია. გეგმით სწორკუთხაა. ნაგებია მოყვითალო-მოყავისფრო ქვის კარგად გათლილი კვადრებით. კედლები შიგნით შელესილია. შიგნით და გარედან თაღოვანი შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარი სწორკუთხაა. გრძივ კედლებზე ორი წყვილი კუთხეებჩამოთლილი პილასტრია, რომლებსაც ცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები ეყრდნობა. ეკლესიაში ექვსი დიდი სარკმელია: ერთი საკურთხეველშია, ერთი დასავლეთ კედელში, ორ-ორი გრძივ კედლებში.

ეკლესიის ფასადები ნაწყობია კარგად გათლილი კვადრებით. მორთულობით გამოირჩევა დასავლეთის (მთავარი) ფასადი. კარის ტიმპანზე, რთული გეომეტრიული ორნამენტია, რომელშიც ჩაწნულია სტალიზებური ჯვარი. მარტივი თითო ჯვარია გამოსახული შესასვლელის წირთხებზეც. შესასვლელს ზემოთ მარმარილოს ფილებზე მხედრული წარწერებია. პირველი წარწერის ზემოთ ორრგოლიანი კოპია, რომელთანაც ჯაჭვებით არის დაკავშირებული ლომის თითო რელიეფური გამოსახულება.

ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით დგას XIX საუკუნის ორსართულიანი სამრეკლო.

ალექსანდრე ყაზბეგის საფლავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინაა. საფლავზე დგას გრანიტის ლოდი, რომელიც ყაზბეგის მთის მსგავსია.

ეკლესიის დასავლეთის 5 მეტრზე ალექსანდრე ყაზბეგის მშობლების საფლავებია. ეკლესიის აღმოსავლეთის, დაახლოებით 5 მეტრზე ალექსანდრე ყაზბეგის პაპის გაბრიელ ყაზბეგის საფლავია.

ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი — ხმარეთმცოდნეობის მუზეუმი ა. ყაზბეგის სახელობისაა. ისტორიულ არქიტექტურული ძეგლი დაარსდა 1934 წელს ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ტიციან ტაბიძის თაოსნობით, რომლის დირექტორიც იყო 1937 წლამდე. მუზეუმი განთავსებულია ა. ყაზბეგის სახლში.

მუზეუმს აქვს ფილიალი — იაგორ კაზალიკაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ა. ყაზბეგის სახლ-მუზეუმიდან რამდენიმე მეტრზე დგას სამხედრო და საზოგადო მოღვაწის გიორგი ყაზბეგის სახლი. აშენებულია ქვით. ერთსართულიანია, სვეტებიანი. შემკულია ჩუქურთმებით. შენობაში სხვადასხვა ზომის ექვსი ოთახია, რომლებიც ამჟამად მუზეუმის ფონდსაცავია.

კ. კახაძე, თ. ჩიმაკაძე, თ. ჭყონია

ფიტოთერაპია „აკურთხევდით უფალსა, რომელმან აღმოაცენის მწვანე სამსახურებლად კაცთა“

დედამიწა მრავალი საოცარი მცენარით არის გამშვენებული. საქართველო კი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მართლაც გამორჩეულია. მთაში განსაკუთრებით უხვად ხარობს ისეთი მცენარეები, სხვადასხვაგვარი სამკურნალო თვისებებით რომ გამოირჩევიან. ხევის მოსახლეობამ კარგად იცის ზოგიერთი მათგანის გამოყენება — ალბათ, საინტერესო იქნება, სწორედ იმ მცენარეების შესახებ ვისაუბროთ, რომელიც ჩვენს მხარეში მრავლადაა გავრცელებული და დაწვრილებით შევიტყოთ, თუ რა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებიან ისინი. ამჯერად გვსურს გესაუბროთ ცირცელის ანუ მოხეურად წოროს შესახებ:

ცირცელი + ქნავი — მოხეური წორო.

წორო ხემცენარეა, სამკურნალოდ იყენებენ ნაყოფს, რომელიც მრგვალი ფორმისაა, მოწითალო-მონარინჯისფრო. შარდმდენი და ჰიპოტენზიური, ანტირევმატული თვისებები აქვს. გამოიყენება მშრალი კოლიტის სამკურნალოდ, საჭმლის მომნელებელი სისტემის მოსაწესრიგებლად. ღვიძლში ცხიმის რაოდენობას ამცირებს, სისხლში კი ქოლესტერინს. ორგანიზმში ესტროგენებს წარმოქმნის, წარმატებით იყენებენ ფილტვების დაავადებისათვის, ბუასილის, დიზენტერიის, კუჭაშლილობის სამკურნალოდ.

სასარგებლოა ხანში შესული ადამიანებისათვის, რადგან საერთო სისუსტისა და კუჭ-ნაწლავის ძძიმე დაავადებებისაგან განკურნებას უწყობს ხელს. სასარგებლოა თირკმლის სნეულებებისათვის, ყელისა და საყლაპავი მილის ანთების სამკურნალოდ. საგულისხმოა, რომ მცენარე ტოქსიკურ (მომწამვლელ) ნივთიერებებს არ შეიცავს და ამიტომ მისი გამოყენება სახიფათო არ არის. შენახვისას შეგვიძლია გავახმოთ ან შაქარში ავზილოთ.

სამკურნალო მასალის მომზადება: 1 სუფრის კოვზი ნაყოფი 5 წუთის განმავლობაში ვხარშოთ 200 გრ წყალში, 4 საათის განმავლობაში გავაჩეროთ და მივიღოთ დღეში 3-ჯერ 50-80 გრ ჭამამდე 30 წთ-ით ადრე ყლუპებით (უმჯობესია, წინასწარ შევათბოთ).

ნეფრიტისათვის: 500 გრ ნაყოფი 15 წთ-ის განმავლობაში ვხარშოთ 50 გრ შაქარში. მივიღოთ დღეში 4-5-ჯერ 1 სუფრის კოვზი ჭამამდე.

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, თამარ ოდიშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი